

(#12 ოქმს თან ერთვის სხდომის ჩანაწერი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის
2012 წლის 13 სექტემბრის სხდომის
ოქმი #12

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 27 წევრიდან, ესწრებოდა 17. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი - სტუ-ს დაქვემდებარებაში მყოფი წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის კუთვნილი სამგორის, კოლხეთისა და ალაზნის საცდელ-სამელიორაციო ეკოლოგიური პუნქტებისა და მათზე მიმაგრებული შენობა-ნაგებობების ინსტიტუტის ბალანსიდან ამოღებისა და აღნიშნული ქონების სახელმწიფოსთვის უკან დაბრუნების შესახებ - მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგენტ საკითხს სტუ-ს დაქვემდებარებაში მყოფი წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის კუთვნილი სამგორის, კოლხეთისა და ალაზნის საცდელ-სამელიორაციო ეკოლოგიური პუნქტებისა და მათზე მიმაგრებული შენობა-ნაგებობების ინსტიტუტის ბალანსიდან ამოღებისა და აღნიშნული ქონების სახელმწიფოსთვის უკან დაბრუნების შესახებ, კერძოდ:

1. სამგორი (გარდაბნის რ-ნის სოფ. გამარჯვება) – 50 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე მიმაგრებული შენობა-ნაგებობებით;
2. კოლხეთის (ქ. ფოთი) საცდელ-სამელიორაციო ეკოლოგიური პუნქტი – 5 681 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე მიმაგრებული შენობა-ნაგებობებით;

3. ალაზნის (სიღნაღის რ-ნის სოფ. ხორნაბუჯი) საცდელ-სამელიორაციო სადგური – 750 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე მიმაგრებული შენობა-ნაგებობებით

სპიკერი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეს ბატონ დავით ჯაფარიძეს მინდა ვკითხო აზრი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

პროფ. დავით ჯაფარიძე: აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გუშინ საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედმა კომისიამ იმსჯელა. მიგვაჩნია, რომ საკითხი სწორადაა დასმული, ვინაიდან ტექნიკურ უნივერსიტეტს ამ ეტაპზე არ გააჩნია იმ რაოდენობის თანხა, რომ მოახდინოს ამ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და, რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნება მათი ბალანსიდან ამოღება და აღნიშნული ქონების სახელმწიფოსთვის უკან დაბრუნება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა #1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 13 სექტემბრის #12 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს დაქვემდებარებაში მყოფი წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის კუთვნილი სამგორის, კოლხეთისა და ალაზნის საცდელ-სამელიორაციო ეკოლოგიური პუნქტებისა და მათზე მიმაგრებული შენობა-ნაგებობების ინსტიტუტის ბალანსიდან ამოღებისა და აღნიშნული ქონების სახელმწიფოსთვის უკან დაბრუნების შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა, სტუ-ს დაქვემდებარებაში მყოფი წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის კუთვნილი სამგორის, კოლხეთისა და ალაზნის საცდელ-სამელიორაციო ეკოლოგიური პუნქტებისა და მათზე მიმაგრებული შენობა-ნაგებობების ინსტიტუტის ბალანსიდან ამოღებისა და აღნიშნული ქონების სახელმწიფოსთვის უკან დაბრუნების შესახებ, კერძოდ:

1. სამგორი (გარდაბნის რ-ნის სოფ. გამარჯვება) – 50 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე მიმაგრებული შენობა-ნაგებობებით;

2. კოლხეთის (ქ. ფოთი) საცდელ-სამელიორაციო ეკოლოგიური პუნქტი – 5 681 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე მიმაგრებული შენობა-ნაგებობებით;

3. ალაზნის (სიღნაღის რ-ნის სოფ. ხორნაბუჯი) საცდელ-სამელიორაციო სადგური – 750 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე მიმაგრებული შენობა-ნაგებობებით.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი - 2012 წლის დამტკიცებულ საფაკულტეტო ბიუჯეტებსა და ნაერთ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ სტუ-ში დაგეგმილი აკრედიტაციის პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებით - მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგენთ სტუ-ში დაგეგმილ აკრედიტაციის პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებულ საფაკულტეტო ბიუჯეტებსა და ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებს:

1. სამშენებლო ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტიდან 9 000 ლარი; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯებიდან – 7 000 ლარი და ტრანსპორტის დაქირავების (გადაყვანა-გადაზიდვის) ხარჯებიდან – 2 000 ლარი, სულ – 18 000 ლარი, გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში;

2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტიდან 11 000 ლარი და შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციის და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან – 3 000 ლარი, სულ – 14 000 ლარი, გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა

არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში. ასევე, შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდინარე ტერიტორიების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციის და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 20 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემირების პუნქტში;

3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტიდან 23 000 ლარი და შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციის და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 3 000 ლარი, სულ – 26 000 ლარი, გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში;

4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტიდან 25 000 ლარი და შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციის და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 8 000 ლარი, სულ – 33 000 ლარი, გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში;

5. სატრანსპორტო და მანქანთმშენებლობის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტიდან 19 000 ლარი და კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფის მუხლიდან – 11 000 ლარი, სულ – 30 000 ლარი, გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში;

6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ხარჯთაღ-რი-ცხვაში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის, საქონელსა და მომსახურეობაზე გაწეული სხვა დანარჩენი ხარჯები, რომელიც არ კლასიფიცირდება 'საქონელსა და მომსახურეობის' სხვა დანარჩენ მუხლებში ხარჯების პუნქტიდან 10 000 ლარი და შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციის და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან – 1 000 ლარი, სულ – 11 000 ლარი, გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში;

7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტიდან 33 250 ლარი და შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციის და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 18 750 ლარი, სულ – 52 000 ლარი, გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში;

8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტიდან 26 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში და 1 312 ლარი გადატანილ იქნეს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის პუნქტში.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ეს საკითხი ნამდვილად არ იწვევს არანარ პრობლემას, ლოგიკურია რომ აკრედიტაციას სჭირდება ფული, ამიტომ ყველა ფაკულტეტი პროგრამების რაოდენობის მიხედვითა და ნორმატივების შესაბამისად რიცხავს თანხას, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ განხორცილედება აკრედიტაციის პროცედურა.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი - სტუ-ს 2012 წლის ნაერთი საბიუჯეტო ცვლილება, რაც განპირობებულია ბიუჯეტის ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების მუხლის იჯარის პუნქტით დაგეგმილი შემოსავლის ფაქტობრივი კლებით - მომხს. პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგენთ საკითხს ნაერთი საბიუჯეტო ცვლილებასთან დაკავშირებით, რაც განპირობებულია ბიუჯეტის ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების მუხლის იჯარის პუნქტით დაგეგმილი შემოსავლის ფაქტობრივი კლებით, კერძოდ: სტუ-ს 2012 წლის ნაერთი ბიუჯეტის ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების მუხლის იჯარის პუნქტით განსაზღვრული თანხა 548.900 ლარი შემცირდეს 245.177,41 ლარით და განისაზღვროს 303.722, 59 ლარით.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: აქვე წარმოგიდგენთ კიდევ ერთ საბიუჯეტო ცვლილებას: ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციის და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 60 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემირების პუნქტში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა #2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 13 სექტემბრის #12 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა, სტუ-ს 2012 წლის ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. სტუ-ში დაგეგმილი აკრედიტაციის პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებული საფაკულტეტო ბიუჯეტებსა და ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები:

1.1. სამშენებლო ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტიდან 9 000 ლარი; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯებიდან – 7 000 ლარი და ტრანსპორტის დაქირავების (გადაყვანა-გადაზიდვის) ხარჯებიდან – 2 000 ლარი, სულ – 18 000 ლარი, გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში;

1.2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტიდან 11 000 ლარი და შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციის და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან – 3 000 ლარ, სულ – 14 000 ლარი, გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში. ასევე, შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდინარე ტერიტორიების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციის და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 20 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემირების პუნქტში;

1.3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტიდან 23 000 ლარი და შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის,

მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციის და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 3 000 ლარი, სულ – 26 000 ლარი, გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში;

1.4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტიდან 25 000 ლარი და შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციის და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 8 000 ლარი, სულ – 33 000 ლარი, გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში;

1.5. სატრანსპორტო და მანქანთმშენებლობის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტიდან 19 000 ლარი და კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფის მუხლიდან – 11 000 ლარი, სულ – 30 000 ლარი, გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში;

1.6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის, საქონელსა და მომსახურეობაზე გაწეული სხვა დანარჩენი ხარჯები, რომელიც არ კლასიფიცირდება საქონელსა და მომსახურეობი სხვა დანარჩენ მუხლებში ხარჯების პუნქტიდან 10 000 ლარი და შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციის და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან – 1 000 ლარი, სულ – 11 000 ლარი, გადატანილ

იქნეს არაფინანსური აქტივების, არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში;

1.7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტიდან 33 250 ლარი და შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციის და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 18 750 ლარი, სულ – 52 000 ლარი, გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში;

1.8 ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტიდან 26 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში და 1 312 ლარი გადატანილ იქნეს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის პუნქტში.

2. ნაერთი საბიუჯეტო ცვლილება, რაც განპირობებულია ბიუჯეტის ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების მუხლის იჯარის პუნქტით დაგეგმილი შემოსავლის ფაქტობრივი კლებით, კერძოდ: სტუ-ს 2012 წლის ნართი ბიუჯეტის ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების მუხლის იჯარის პუნქტით განსაზღვრული თანხა 548.900 ლარი შემცირდეს 245.177,41 ლარით და განისაზღვროს 303.722, 59 ლარით.

3. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციის და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 60 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიების პუნქტში.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინფორმაცია 2012 წლის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე - მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: ინფორმაციის სახით წარმოგიდგენთ ანგარიშს 6 თვის განმავლობაში 2012 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. გუშინ საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედმა კომისიამ იმსჯელა ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით. ასევე ჩემს მიერ წარმოდგენილი საკითხი თქვენ ელექტრონული სახით გადმოგეზავნათ და უკვე გაეცანით მას.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა წარმოადგინა ინფორმაცია 2012 წლის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე. სენატმა ცნობად მიიღო წარმოდგენილი ინფორმაცია.

სპიკერი: წარმოგიდგენთ მიმდინარე საკითხებს, რომლებიც დღის წესრიგით არ იყო გათვალისწინებული.

პროფ. ანზორ აბშილავა: წარმოგიდგენთ საკითხს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მოსამზადებელი კურსების შექმნისა და საათობრივი ანაზღაურების ნიხრის დამტკიცების შესახებ. აქვე მოგახსენებთ, რომ „გვირაბგამყვანის“ და „სამთო ელექტრომექანიკოსის“ მოსამზადებელი კურსების პროგრამებისთვის საათობრივი ანაზღაურების ნიხრი და 1 აკადემიური საათის ღირებულება განისაზღვროს 5 ლარის ოდენობით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რომელიც დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა #3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 13 სექტემბრის #12 სხდომაზე პროფ. ანზორ აბშილავამ წარმოადგინა საკითხი სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში

მოსამზადებელი კურსების შექმნისა და საათობრივი ანაზღაურების ნიხრის დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 ივლისის დადგენილება #725.

სენატმა გადაწყვიტა:

1. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნას სამთო პროფილის სპეციალისტთა მოსამზადებელი კურსები.

2. დამტკიცდეს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის „გვირაბგამყვანის“ და „სამთო ელექტრომექანიკოსის“ მოსამზადებელი კურსების პროგრამებისთვის საათობრივი ანაზღაურების ნიხრი და 1 აკადემიური საათის ღირებულება განისაზღვროს 5 ლარის ოდენობით.

3. აღნიშნული ნიხრით საათობრივი ანაზღაურების გაცემა განხორციელდეს 2012 წლის პირველი აგვისტოდან.

პროფ. იგორ კვესელავა: წარმოგიდგენთ საკითხს შუამდგომლობითი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ, სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სრული პროფესორის, აკადემიური საბჭოს წევრის ზურაბ ჩხაიძის გარდაცვალების გამო, მის ოჯახს ფულადი დახმარების მიზნით გადაეცეს 2 500 ლარის ოდენობის თანხა, უზრუნველყოფა ეთხოვოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რომელიც დამტკიცდა.

გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა #4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 13 სექტემბრის #12 სხდომაზე პროფ. იგორ კვესელავამ წარმოადგინა შუამდგომლობა მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სრული პროფესორის, აკადემიური საბჭოს წევრის ზურაბ ჩხაიძის გარდაცვალების გამო, მის

ოჯახს გაეწიოს ფულადი დახმარება 2 500 ლარის ოდენობით და უზრუნველყოფა ეთხოვოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა მოახსენა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი